აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების 2015 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 333,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47 302,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 117,3 პროცენტია.



	გადასახადები	გრანტები	სხვა შემოსავლები	არაფინანსური აქტივების კლება
გეგმა	32,000.0	4,486.4	1,452.1	2,394.7
ფაქტი	37,984.4	4,486.4	2,386.9	2,445.0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 37 938,5 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 857,7 ათასი ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 118,2 პროცენტით. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (35 404,5 ათასი ლარი) შედარებით შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 9 453,2 ათასი ლარით ანუ 26,7 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსავლები წილობრივად



1. გადასახადები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2015 წლის პირველი კვარტლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 84,7 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 32 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 37 984,4 ათასი ლარი ანუ გეგმის 118,7 პროცენტი.

საანგარიშო პერიოდის საშემოსავლო გადასახადი 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 32 823,8 ათას ლარს, გაზრდილია 5 160,6 ათასი ლარით ანუ 15,7 პროცენტით.

საშემოსავლო გადასახადის 2014-2015 წლების პირველი კვარტლის შესრულება



2. გრანტები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2015 წლის პირველი კვარტლის გრანტების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 486,4 ათასი ლარით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის #594 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სსიპ - სრულიად მუსლიმთა სამმართველოსათვის სარგებლობაში (მართვის უფლებით) გადასაცემი ქ. ბათუმში ანგისის დასახლებაში მდებარე ქონებისა (მიწა(უძრავი ქონება) და შპს „CRISTAL"-ის 100 %-იანი წილის შეძენის მიზნით გამოეყო 2 263,5 ათასი ლარი და 2 222,9 ათასი ლარი.

3. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2015 წლის პირველი კვარტლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 1 452,1 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 2 386,9 ათასი ლარი ანუ გეგმის 164,4 პროცენტი.

სხვა შემოსავლების პირველი კვარტლის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე:

პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშგებო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 650,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 807,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 124,3 პროცენტი; შემოსავალი

დივიდენდებიდან პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 467,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 468,0 ათასი ლარი, გეგმის 100,2 პროცენტი; რენტიდან შემოსავლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 252,1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 108,5 ათასი ლარი ანუ გეგმის 43,0 პროცენტი, (რენტიდან შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 65,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 141,2 ათასი ლარი ანუ გეგმის 217,2 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 18,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 79,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 440,0 პროცენტი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების პირველი კვარტლის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 782,3 ათასი ლარი;



4. არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2015 წლის პირველი კვარტლის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 2 394,7 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 445,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102,1 პროცენტი. მათ შორის: ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 23,8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გეგმა განისაზღვრა 2 297,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 420,7 ათასი ლარი ანუ გეგმის 105,4 პროცენტი, მატერიალური მარაგებისა და

ფასეულობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გეგმა განისაზღვრა 97,5 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 0,5 ათასი ლარი ანუ გეგმის 0,5 პროცენტი.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2015 წლის სამი თვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაზუსტებული გადასახდელები 40 600,5 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 33 944,3 ათას ლარს, რაც გეგმის 83,6 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის სამი თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის სამი თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2015 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 1 228,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 1 106,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90,1 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2015 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი 146,4 ათასი ლარის ასიგნება დაფინანსებულია – 141,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მასთან არსებული ორგანიზაციებისათვის 2015 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 5 337,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 4 184,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 78,4 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2015 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 7 893,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 6 285,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 79,6 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2015 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 7 790,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 6 340,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 81,4 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2015 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 2 528,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 691,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგის 66,9 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით სამ თვეში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 1 844,2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 322,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 71,7 პროცენტია.

უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2015 წლის 3 თვეში გამოყოფილი 597,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 554,9 ათასი ლარი, გეგმის 92,9 პროცენტი, მათ შორის სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 322,9 ათასი ლარი, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ – 232,0 ათასი ლარი.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო

სამართლის იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდის ხარჯებს, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, 2015 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 13 233,2 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება კი - 12 318,0 ათას ლარს, რაც გეგმის 93,1 პროცენტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი

2015 წლის სამი თვის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 309,0 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

2015 წლის 30 იანვრის #14 ბრძანების შესაბამისად 3,0 ათასი ლარი გამოიყო ამაიაკ მანუკიანის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 30 იანვრის #15 ბრძანების შესაბამისად 15,0 ათასი ლარი გამოიყო ტატიანა მეგრელიშვილისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 30 იანვრის #16 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი გამოიყო ემზარ ზოიძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 9 თებერვლის #19 ბრძანების შესაბამისად 23,4 ათასი ლარი გამოიყო მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 9 თებერვლის #20 ბრძანების შესაბამისად 38,6 ათასი ლარი გამოიყო სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #25 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო თამილა მახარაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #26 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო მალხაზ შავიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #27 ბრძანების შესაბამისად 2,0 ათასი ლარი გამოიყო ლეილა ნაკაშიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #28 ბრძანების შესაბამისად 3,4 ათასი ლარი გამოიყო ნაზიბროლა შანთაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #29 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ირაკლი გოჩაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #30 ბრძანების შესაბამისად 5,2 ათასი ლარი გამოიყო ნანა ბაუჟაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #31 ბრძანების შესაბამისად 0,5 ათასი ლარი გამოიყო ლუკა აბულაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #32 ბრძანების შესაბამისად 2,7 ათასი ლარი გამოიყო ზია ზოიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #33 ბრძანების შესაბამისად 2,4 ათასი ლარი გამოიყო შაქრო ცეცხლაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #34 ბრძანების შესაბამისად 0,9 ათასი ლარი გამოიყო თამთა ფუტკარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #35 ბრძანების შესაბამისად 1,4 ათასი ლარი გამოიყო სალომე ხალვაშისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #36 ბრძანების შესაბამისად 10,1 ათასი ლარი გამოიყო ამირან ხინკილაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 27 თებერვლის #44 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო მამუკა წულუკიძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #55 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო საპროექტო დოკუმენტაციის შეძენის მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #56 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი გამოიყო სესილი კირთაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #57 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი გამოიყო გენადი რიჟვაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #58 ბრძანების შესაბამისად 60,4 ათასი ლარი გამოიყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივი აღსრულების მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #60 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო მამუკა დევაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 18 მარტის #68 ბრძანების შესაბამისად 15,0 ათასი ლარი გამოიყო თაისია მგელაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 მარტის #69 ბრძანების შესაბამისად 25,0 ათასი ლარი გამოიყო 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მარტისა და აპრილის თვეების საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად;

2015 წლის 19 მარტის #70 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ლიკა ზაქარაძისათვის მედიკამენტ აქტემრას შეძენის მიზნით;

2015 წლის 20 მარტის #74 ბრძანების შესაბამისად 0,5 ათასი ლარი გამოიყო მაყვალა ტაკიძისათვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 27 მარტის #76 ბრძანების შესაბამისად 3,5 ათასი ლარი გამოიყო თენგიზ ტრაპაიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2015 წლის სამ თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8 903,7 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 8 860,3 ათასი ლარი;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2015 წლის სამ თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 72,0 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 72,0 ათასი ლარი;

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურუდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შ.პ.ს. „ჰიგიენა 2009“-ის საწესდებო კაპიტალის ზრდა 3 011,0 ათასი ლარის ოდენობით, აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის.

სესხების მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები 17,8 ათასი ლარის ოდენობით.

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესებისა და გაფართოების პროექტის და რეგიონის აგრარული სექტორის ხელშეწყობის პროექტებისათვის საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 353,9 ათასი ლარით.

უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის სესხის ძირითადი ნაწილის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 2,9 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო 2015 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: გარემოსდაცვითი პროგრამა და სატყეო სექტორის განვითარება.

გარემოსდაცვითი პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას, ამათგან 2015 წლის პირველ კვარტალში გეგმა გათვალისწინებული იყო მხოლოდ ერთ ქვეპროგრამაში - აჭარის სანაპირო ზოლის ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებულ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1,3 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 0,6 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ“-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA150000893) წყალსატევების აქტიურ დამაბინძურებელ ობიექტებზე წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (210 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 8,4 ათასი ლარი.
2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ“-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA150000894) ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (132 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 6,6 ათასი ლარი.
3. განხორციელდა ატმოსფერული ჰაერისა და ჩამდინარე წყლების მდგომარეობის მონიტორინგი: ჩატარებული იქნა 16 ატმოსფერული ჰაერის სინჯის ანალიზი და 12 ჩამდინარე წყლის სინჯის ანალიზი, საერთო ღირებულებით 1,3 ათასი ლარი, აქედან 0,6 ათას ლარს შეადგენს საკასო ხარჯი.

შესრულების პროცენტი: 46,2%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 4,0%

პროგრამა სატყეო სექტორის განვითარების ფარგლებში ხორციელდება სამი ქვეპროგრამა: სატყეო სექტორის მართვა და მომსახურება, რომელიც მოიცავს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მიერ განსახორციელებელ ორ ქვეპროგრამას: ტყის მოვლა-აღდგენის ქვეპროგრამასა და ტყის ფონდის ინვენტარიზაციის (ტყეთმოწყობა) ქვეპროგრამას, რომლებზეც 2015 წლის პირველ კვარტალში გეგმა არ იყო გათვალისწინებული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2015 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების

ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისიწინებს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრირებისა და მართვის ქვეპროგრამა და ასევე შემდეგი სამი ქვეპროგრამა:

დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოების ქვეპროგრამის 2015 წლის პირველ კვარტალში გეგმა არ იყო გათვალისწინებული.

ქვეპროგრამის - კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 15,0 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება არ განხორციელებულა. ვინაიდან ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიების - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან არსებული მრჩეველთა საბჭოს და რეგიონში ტურიზმის სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით კონფერენციების და შეხვედრების ორგანიზება" ჩატარების ინტენსივობა, მრჩეველთა საბჭოსა და რეგიონში ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან შეთანხმებით შემცირდა და დაიგეგმა წლის მეორე ნახევრისთვის.

ქვეპროგრამის - დეპარტამენტის ორგანიზაციული განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 26,0 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება არ განხორციელებულა. ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტმა წარადგინა განაცხადი სოფლად ტურიზმის ევროპული ფედერაციაში - „EUROGITES", გაწევრიანების შესახებ, საიდანაც მიღებულია თანხმობა და ოფიციალურად დეპარტამენტი აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანდება 2015 წლის ივნისის თვეში დაგეგმილ სხდომაზე. აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო დეპარტამენტის გაწევრიანება ხმელთაშუაზღვის საკრუიზო პორტების ასციაციაში - „MedCruise", თუმცა მიღწეული იქნა შეთანხმება ბათუმის პორტის ხელმძღვანელობასთან აღნიშნულ ორგანიზაციაში დეპარტამენტის ნაცვლად ბათუმის პორტის გაწევრიანებაზე, შესაბამისად საწევრო გადასახადს გადაიხდის ბათუმის პორტი. ხოლო ღონისძიება - „დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები" დაიგეგმა წლის მეორე ნახევრისთვის.

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისიწინებს ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზარზე საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 189,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 112,8 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია სხვადასხვა საპრომოციო (სარეკლამო) მასალება;

სარეკლამო კამპანიების (თურქეთში, ისრაელში, პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში და სომხეთში) განხორციელების მიზნით დეპარტამენტის მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები და 1 აპრილიდან ეტაპობრივად დაიწყო სარეკლამო კამპანიები.

რეკლამა განთავსდა საკრუიზო ჟურნალში "Seatrade Cruise Review" 2015 წლის მარტის გამოცემაში.

10 ქვეყანაში მიმდინარეობს რეგიონის ონლაინ რეკლამირება სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზების ფარგლებში, დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა 5 პრეს და ინფო ტური, რომლის საშუალებითაც რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო 43 სტუმარი, მათ შორის: 34 ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი და 9 ჟურნალისტი.

დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 9 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, კერძოდ:

1. თურქეთის ტურისტული გამოფენა - „EMITT -2015“

2. ლიტვის ტურისტული გამოფენა „Adventure 2015“

3. ლატვიის ტურისტული გამოფენა - „BALTTOUR-2015“

4. თელავივის ტურისტული გამოფენა- „IMTM-2015“

5. უნგრეთის ტურისტული გამოფენა „UTAZAS (TRAVEL) 2015“

6. გერმანიის ტურისტული გამოფენა - „ITB Berlin -2015“

7. უკრაინის ტურისტული გამოფენა - „UITT – Kiev 2015“

8. მაიამი, აშშ. საკრუიზო გამოფენა - „Cruise Shipping Miami 201“

9. პოლონეთი, (კატოვიცე) ტურისტული გამოფენა - „Katowice International Fair“ (GLOB -2015)

რიგი ღონისძიებები (ტურები, გამოფენები) დასრულდა მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში, შესაბამისად თანხის ათვისება მოხდება აპრილის თვეში.

შესრულების პროცენტი: 59,7%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 5,2%

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 58,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 38,8 ათას ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია სხვადასხვა საპრომოციო (სარეკლამო) მასალები;

2015 წლის იანვარი-მარტის პერიოდში განხორციელდა აჭარაში ზამთრის სეზონის ფასდაკლებების რეკლამირება.

რიგი საპრომოციო მასალების მოწოდება დასრულდა მარტის ბოლოს, შესაბამისად თანხის ათვისება მოხდება აპრილის თვეში.

შესრულების პროცენტი: 66,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 16,2%

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისიწინებს ოთხ ქვეპროგრამას:

სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტოს" შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებს.

ქვეპროგრამის - ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის სფეროში ცნობიერების ამაღლება 2015 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 53,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: ჩაუტარდა ტრენინგი 155 მონაწილეს, მათ შორის:

• ტურისტული სააგენტოების მენეჯერების და ტუროპერატორების ტრენინგი - 40 მონაწილე;

• კვების ობიექტების მენეჯერების ტრენინგი - 15 მონაწილე;

• კვების ობიექტების მიმტანების ტრენინგი - 30 მონაწილე;

• სასტუმროს ადმინისტრატორების ტრენინგი - 40 მონაწილე;

• სასტუმროს მენეჯერების ტრენინგი - 30 მონაწილე.

ფაქტიური დაფინანსება არ განხორციელებულა, რადგან ტრენინგები დასრულდა მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში, შესაბამისად თანხის ათვისება მოხდება აპრილის თვეში.

ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის ქვეპროგრამის 2015 წლის პირველ კვარტალში გეგმა არ იყო გათვალისწინებული.

ქვეპროგრამის - ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 75,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 54,0 ათას ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საახალწლო კონცერტის ორგანიზება და დასრულდა ბათუმის საკრუიზო ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

სტრატეგიის შემუშავება დასრულდა მარტის ბოლოს, შესაბამისად თანხის ათვისება მოხდება აპრილის თვეში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 72,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 12,6 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო მიმდინარე წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის - საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 75,7 ათას ლარს, შესრულება შადგენს 36,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაქირავებულია პერსონალი, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას;

შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა;

დიზელ გენერატორის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - ხელშეკრულება გაფორმდა შ.პ.ს „ახალ მთვარესთან“ თანხით 19,4 ათასი ლარი. მიწოდება განხორციელდა მიმდინარე წლის აპრილის თვეში, შესაბამისად თანხის გადახდა მოხდა მიწოდების შემდეგ.

დაგეგმილი იყო სერვერის შეძენა, რაც ვერ მოხერხდა ვალუტის კურსის ცვლილების გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 47,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 24,7 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი 2015 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხვრივ მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 975,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 975,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- განხორციელდა 3 გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

მომზადება;

- 6 გზაზე გამოცხადებულია ტენდერი და მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურა;

- 14 გზაზე გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 6,3 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 50,0 ათას ლარს, შესრულება - 14,3 ათას ლარს. ასევე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის #141 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოყოფილი იქნა 2014 წლის სექტემბრის თვეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 1 333,0 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაც მომდევნო პერიოდიდან დაიწყება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- განხორციელდა 50 ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

- 16 ობიექტზე მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურა;

- 24 ობიექტზე გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ავანსისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხაჯების დაფინანსება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 28,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 0,4 %

ქვეპროგრამაზე - სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია 2015 წლის პირველ კვარტალში გეგმა არ იყო გათვალისწინებული.

ქვეპროგრამის - საგზაო ტექნიკის შეძენა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 147,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 146,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შესყიდვა განხორციელდა ქვეპროგრამით გათვალისწინებულ 7 საგზაო ტექნიკაზე (4 ერთეული მუხლიხა ტრაქტორი და 3 ერთეული თვითმცვლელი), პირველ კვარტალში გადახდილია საავანსო თანხები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 16,9 %

ქვეპროგრამის - საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 470,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 455,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია ავტომობილებისა და საგზაო ტექნიკის მიმდინარე რემონტის სათადარიგო ნაწილები;

განხორციელებულია გზების წმენდა ჩამონაშალებისაგან და თოვლის საფარისაგან;

შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

გაცემულია საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 8,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მიმდინარე წელს ახორციელებს შვიდ პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, საერთაშორისო სტანდარტების ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა და ქალაქ ბათუმში მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობა.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვისთვის 2015 წლის სამ თვეში გათვალისიწნებულია 14,6 ათასი ლარი, საიდანაც საკასო შესრულება შეადგენს 13,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-გან ელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 7,5 ათასი ლარი;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისი N15 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების გამოქვეყნების საფასურის გადახდა, რომლის საკასო ხარჯმა შეადგინა -0,1 ათასი ლარი;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას შორის გაფორმებული 01/01/2011 N908-1/7-11 ხელშეკრულების

საფუძველზე განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ელ.ენერგიით მომარაგება;

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, პირველი კვარტლის საკასო ხარჯმა შეადგინა - 3,6 ათასი ლარი;
5. 2015 წლის 20 იანვარს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N41 შპს „აუდიტორული კომპანია იბერ აუდიტ კონსალტინგ"-თან აუდიტორული (300 დასკვნა) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 9,9 ათასი ლარი. პირველი კვარტლის საკასო ხარჯმა შეადგინა 1,3 ათასი ლარი.
6. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა ერთი ერთეული საექსპერტო დასკვნის (N 5000457415) მომზადება. პირველი კვარტლის საკასო ხარჯმა შეადგინა 0,5 ათასი ლარი.
7. 2015 წლის 23 იანვარს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიასთან" 7 ათასი კვ.მ შენობა- ნაგებობის ნახაზის, 558 ჰა მიწის ნაკეთვის აზომვითი ნახაზის, უძრავი ქონებების რამდენიმე ნაწილად დაყოფის მიზნით 1000 აზომვითი ნახაზის, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებში ცვლილებების მიზნით 500 აზომვითი ნახაზისა და 20000 გრძივი მეტრის სიგრძის ხაზობრივი ნაგებობების აზომვითი ნახაზის მომზადების თაობაზე, ღირებულებით 28,3 ათასი ლარი. პირველ კვარტალში სამუშაოების მიღება-ჩაბარება არ განხორციელებულა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 8,3 %

ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2015 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 43,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 37,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2015 წლის პირველ კვარტალში დაიწყო რეგიონის საინვესტიციო საპრომოუშენო მასალების განახლება, 2015 წელს საპრომოუშენო მასალების გამოცემა მოხდება ორ ენაზე, ინგლისურად და რუსულად. მასალებში არსებული ინფორმაცია და ინგლისური ენის სიზუსტე გადამოწმებული იქნა ინგლისური ენის სპეციალისტის მიერ, მომსახურების ხარჯმა შეადგინა 0,6 ათასი ლარი, დაქირავებულ იქნა ფოტოგრაფი, რომელმაც მოახდინა აჭარაში არსებული საწარმოების ფოტოგრაფირება, მომსახურების ხარჯმა შეადგინა 2,5 ათასი ლარი. ასევე გამოცხადებული იქნა ტენდერი ტექსტის და ფოტომასალის დაკაბადონებასა და დიზაინის შექმნაზე, მომსახურების ხარჯმა შეადგინა 4,9 ათასი ლარი. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „საერთაშორისო საინვესტიციო ტურების ორგანიზების" ფარგლებში მოეწყო ბიზნეს ფორუმი ყაზახეთის რესპუბლიკაში ქალაქ ასტანაში, სადაც ჩატარდა პრეზენტაციები 100-ზე მეტი ყაზახი ბიზნესმენისთვის, ფორუმის საერთო ხარჯმა შეადგინა 29,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 14,0 %

ქვეპროგრამა - ეკონომიკური ობსერვატორიის 2015 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 15,3 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება არ განხორციელებულა, რადგან ვერ მოხერხდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ქვეპროგრამით გათვალისწინებული კონკურსის საფუძველზე საჭირო კადრების შერჩევა. შესაბამისად ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხების ათვისება მოხდება მეორე კვარტალში სპეციალისტების (ექსპერტების) შერჩევის შემდეგ.

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა, რომლის 2015 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 57,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 42,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ქობულეთის სივრცითი მოწყობის დოკუმენტზე მუშაობა 2014 წელს დაიწყო და გრძელდება მიმდინარე წლისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის დოკუმენტების შედგენასთან დაკავშირებული შემდეგი საქმიანობა: დასრულდა საინფორმაციო მასალების მოძიებისა და დამუშავების სამუშაოები, აეროფოტოგადაღების საფუძველზე დამუშავდა ვექტორული რუკები, დასრულდა არსებული მდგომარეობის ამსახველი თემატური რუკები და ტექსტური ნაწილი. განისაზღვრა ალტერნატივები და სამომავლო განვითარების ხედვები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 74,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 18,7 %

პროგრამის - სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 68,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 51,6 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტში ვაშლოვანის დასახლებაში მიმდინარეობს 72 ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. სრულად დასრულდა „გ“ ბლოკის სამონტაჟო სამუშაოები;
2. „გ“ ბლოკზე მიმდინარეობს საინჟინრო-კომუნალური ქსელების მონტაჟისა და მოპირკეთების სამუშაოები;
3. დასრულდა "ა" ბლოკის სამონტაჟო სამუშაოები და დაწყებულია მოპირკეთების სამუშაოები;
4. დასრულდა საყრდენი კედლის მოწყობა.

ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმში თამარის დასახლებაში 58 ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომლის სამუშაოები დაგეგმილია მომდევნო პერიოდში.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 74,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 1,3 %

პროგრამის - მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა 2015 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 27,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 18,2 ათას

ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემულია 23 სესხი. ხოლო საანგარიშო პერიოდში განხორციელდა იმ ბენეფიციართა (13 ბენეფიციარი) სესხის პროცენტის დაფინანსება, რომელთაც გრაფიკით გათვალისწინებული გადახდა მოუწიათ. გარდა ამისა პირველ კვარტალში იგეგმებოდა 7 ბენეფიციარზე სესხის გაცემა, შესაბამისად სამინისტროს მხრიდან თანადაფინანსების თანხებიც იქნა გათვალისწინებული. ფაქტიურად კი ბანკის მიერ სესხი გაიცა 2 ბენეფიციარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ მოხდა პროგრამის ფარგლებში პირველ კვარტალში დაგეგმილი თანხის სრულად ათვისება.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 67,4%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 3,0 %

პროგრამებზე - საერთაშორისო სტანდარტების ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა და ქალაქ ბათუმში მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობა საანგარიშო პერიოდში გეგმა არ არის გათვალისწინებული.

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 342,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 590,3 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ვლს“ (ელექტრონული ტენდერი SPA140030009) ბათუმის ბულვარში არსებული შადრევნების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 199,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 43,1 ათასი ლარი;
2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „modern technikcs-XXI” (ელექტრონული ტენდერი SPA150001240) სათიბი საშუალებებისათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა, ღირებულებით - 8,6 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 8,6 ათასი ლარი;
3. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „მურად ფუტკარაძის“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001233) ორგანული სასუქის შესყიდვა, ღირებულებით - 21,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 21,9 ათასი ლარი;
4. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „გენადი გუმბერიძის“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001369) ბათუმის ბულვარის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 2,2 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 1,2 ათასი ლარი;

5. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ზადენი“ (ელექტრონული ტენდერი SPA150002719) სხვადასხვა მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების შესყიდვა, ღირებულებით - 14,4 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 14,4 ათასი ლარი;

6. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ახალი მთვარე“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001235) გაზონის სათიბი საშუალებების შესყიდვა, ღირებულებით - 47,5 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 47,5 ათასი ლარი;

7. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „დიზაინი“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001215) ბუნებრივი ბალახის კორდის (ბელტი) შესყიდვა, ღირებულებით - 20,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,5 ათასი ლარი;

8. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროდეკორსერვისი“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001178) ბულვარში უნივერსიტეტის მიმდებარედ იაპონური კუთხის მოსაწყობად ხე-მცენარეების მოწოდება-დარგვა, ღირებულებით - 19,1 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 19,1 ათასი ლარი;

9. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათგამწვანება“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001176) ხე-მცენარეების შესყიდვა-დარგვა, ღირებულებით -128,3 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 46,4 ათასი ლარი;

10. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „მურად ფუტკარაძის“ (ელექტრონული ტენდერი SPA150004258) მცენარეული ნიადაგის (ტყის მიწა) შესყიდვა, ღირებულებით - 9,7 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 9,7 ათასი ლარი;

11. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/ს „ამირან მურვანიძე“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027880) ბათუმის ბულვარში არსებული ზოოკუთხისა და ზოოკუთხის მობინადრეებისათვის გასაწევი მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 55,6 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 13,8 ათასი ლარი;

12. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აჭარსპეცპროექტი“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027860) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, ღირებულებით - 24,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 24,0 ათასი ლარი;

13. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აჭარგანათება“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027386) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 133,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 16,7 ათასი ლარი;

14. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „სანდასუფთავება“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027128) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე დალაგება-დასუფთავედის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით -

599,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 69,9 ათასი ლარი;

15. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროდეკორსერვისი“ გაზონის დასათესად ჩრდილის ამტანი ბალახის თესლის შესყიდვა, ღირებულებით - 4,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 4,0 ათასი ლარი;

16. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „დიმარი“ სხვადასხვა სახის ხელსაწყოების გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით - 2,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,0 ათასი ლარი;

17. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „ზურაბ სამნიძე“ ველოსიპედების შესყიდვა, ღირებულებით - 3,5 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 3,5 ათასი ლარი;

18. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება „საქ.შ.სსიპ დაცვის პოლიცია“ ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე დაცვის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით- 602,8 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 150,6 ათასი ლარი;

19. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „რომპეტროლ საქართველო“ Efix EURO Diesel-ის შესყიდვა, ღირებულებით - 14,2 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,5 ათასი ლარი;

20. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ლუკოილ ჯორჯია“ (კონსოლიდირებული ტენდერი) ღირებულებით - 23,8 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 5,6 ათასი ლარი;

21. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ღირებულებით 307,5 ათასი ლარი (2015 წლის ხელშეკრულებით 280,0 ათასი ლარი, 2014 წლის ხელშეკრულებით 27,5 ათასი ლარი). საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 79,6 ათასი ლარი;

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილზე ტენდერები არ შედგა, ასევე გამოცხადებული ტენდერებიდან შეიქმნა ეკონომიები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი - 44,0 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან - 11,5%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2015 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს სამ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამა- საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია სამ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 100,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 100,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის N2 საჯარო სკოლაზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც ასრულებს შპს ,,ამაგი", რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2014 წელს, ამ ეტაპისთვის დასრულებულია შენობის კარკასის მშენებლობა, შესრულებული სამუშაოს მიხედვით ანაზღაურებულია 91,3 ათასი ლარი, ამასთანავე განხორციელდა ტექნიკური ზედამხედველობა მოწოდებული სამუშაოების პროპორციულად 1,2 ათასი ლარით, დასრულებულ ობიექტებზე ექსპერტიზაზე გაწეულია - 4,2 ათასი ლარი, კოორდინატორის შრომისანაზღაურება დაფინანსებულია 3,3 ათასი ლარით.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 2,3%

ქვეპროგრამის - საპენსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 212,4 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი - 212,2 ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს დაბა შუახევის საჯარო სკოლის პანსიონის მშენებლობაზე, სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს შპს „გია“, ამ ეტაპისთვის დასრულებულია სამივე სართულის კონსტრუქციის მშენებლობა. შესრულებული სამუშაოს მიხედვით ანაზღაურებულია 210,4 ათასი ლარი, შესრულებული სამუშაოების მიხედვით ეტაპობრივად ტექნიკური ზედამხედველობაზე გაწეულია 1,8 ათასი ლარი.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 13,4%

ქვეპროგრამის - სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2,5 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი -2,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 7 საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციას, ამ ეტაპისთვის 2,1 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია ექსპერტიზის ხარჯებისათვის 4 საჯარო სკოლაზე, რომლის რეაბილიტაცია დასრულებულია 2014 წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,0 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 0,6%

პროგრამა - განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ოთხ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის 2015 წლის სამი თვის გეგმა შეადგენს 45,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 34,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დასაქმებულ 24 პედაგოგს გაუგრძელდა ხელშეკრულება, ხოლო კონკურსის წესით საანგარიშო პერიოდში შეირჩა მხოლოდ 4 პედაგოგი. 2015 წლის პირველ კვარტალში ქვეპროგრამით გათვალისწინებული 36 მასწავლებლის ნაცვლად სულ დასაქმებულია 28 პედაგოგი, რის გამო პედაგოგთა შრომის ანაზღაურების მუხლში შეიქმნა ეკონომია. სულ პედაგოგთა

ანაზღაურებაზე გაწეულია 32,2 ათასი ლარი, ხოლო კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 2,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 75,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 21,8%

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 413,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 413,3 ათას ლარს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტთა დახმარებას. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 451 სტუდენტი 413,0 ათასი ლარით, და გაწეულია რეკლამაზე 0,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 41,3%

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 25,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 25,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში 2014 წელს სამინისტროს მიერ დაფინანსებულ სტუდენტებს გაუგრძელდათ დაფინანსება, კერძოდ:
ა) ერეკლე მუჯირს იტალიაში ჯონ კაბოტის უნივერსიტეტში მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამაზე 2015 წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო ხარჯები არაუმეტეს 12,5 ათასი ლარის ოდენობით საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
ბ) ანა ქასრაშვილს ესპანეთში ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში ფილმების, სატელევიზიო და ვიდეო თამაშების მუსიკის სამაგისტრო პროგრამაზე 2015 წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო ხარჯები არაუმეტეს 12,5 ათასი ლარის ოდენობით საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერაზე გაწეულია 0,6 ათაასი ლარი.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 11,4%

ქვეპროგრამის - უცხოეთში სტაჟირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 2 სტაჟიორის გაგზავნა საზღვარგარეთ, უცხოეთში (საფრანგეთის ქ. ბეზანსონში) გაიგზავნა ერთი სტაჟიორი. მარტის თვეში შერჩეულ მეორე სტაჟიორს სტაჟირება ეწყება აპრილის თვეში, ამიტომ უცხოეთში გაემგზავრება აპრილის თვეში და პარალელურად თანხაც ჩაერიცხება მეორე კვარტალში.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 41,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 5,8%

პროგრამა - განათლების ხარისხის გაუმჯობესება მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სასკოლო კლუბების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული იქნა კონკურსი, შემოსულია 103 განაცხადი და მიმდინარეობს აღნიშნული განაცხადების შესწავლა. 2015 წლის პირველ კვარტალში ანაზღაურებულია მხოლოდ კორდინატორისა და ქვეპროგრამის მხარდაჭერის ხარჯები.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 7,5 %

ქვეპროგრამის - კონკურსები და ოლიმპიადები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 12,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო საგნობრივი ოლიმპიადის პირველი და მეორე ტურის ტესტების დაბეჭდვა და ოლიმპიადის ჩატარებისათვის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. პირველი ტურის ტესტები სკოლებისათვის მიწოდებული იქნა ელექტრონული ფორმით, ხოლო მეორე ტურის ტესტების დაბეჭდვა გადატანილი იქნა მეორე კვარტალში, რამაც ქვეპროგრამის ბიუჯეტში წარმოქმნა ეკონომია 12,0 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2015 წელს კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ოთხ პროგრამაზე.

პროგრამის - საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2,7 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2015 წლის პირველი კვარტლის გეგმა ითვალისწინებდა კოორდინატორის შრომის ანაზღაურებასა და საკომუნიკაციო ხარჯს. კოორდინატორის ადგილი ვაკანტურია, რამაც შექმნა ეკონომია. პირველი კვარტლის განმავლობაში მომზადდა და გაფორმდა ხელშეკრულება ბრიტანეთის საბჭოსთან საქართველოში; მიმდინარეობს აუდიტორიის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მოსამზადებელი სამუშაოები; პროგრამაში ჩართულმა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს აუდიტორიის მოზიდვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის რედაქტირებული ვარიანტები; აღნიშნული დოკუმენტები ითარგმნა და გადაეგზავნა ბრიტანელ ექსპერტებს შემდგომი კომენტარებისათვის/ანალიზისთვის; შეირჩა ბრიტანელი ექსპერტები, განისაზღვრა ვიზიტის დრო, მიმდინარეობს კონსულტაციების შინაარსობრივი ასპექტების დაკონკრეტება; მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები აჭარის კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ვიზიტისა და ედინბურგის ფესტივალზე კულტურულ-საგანმნათლებლო პროგრამაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის - აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 103,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4,0 ათას ლარს. პროგრამის

ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- პროგრამაში კინოპროექტების დაფინანსება (ფილმების და ვიდეოჩანაწერების წარმოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა) - პირველ კვარტალში გათვალისწინებული იყო 80,0 ათასი ლარი, იქედან გამომდინარე რომ კონკურსის წესით ხდება გამარჯვებულების გამოვლენა, თანხის დახარჯვა დამოკიდებულია კონკურსის დასრულებასა და გამარჯვებული პროექტების განხორციელების დროით გეგმაზე. ამჟამად გამოვლენილია 3 გამარჯვებული პროექტი.
- საგანმანათლებლო აქტივობების და საგამომცემლო მხარდაჭერა (მათ შორის საზაფხულო სკოლა) პირველი კვარტალის გეგმა შეადგენს 19,0 ათას ლარს, აქედან გაიხარჯა 1,3 ათასი ლარი პროექტის „კინო სკოლაში“ დახურვასთან დაკავშირებით აჭარიდან 40-მდე მოსწავლის ქალაქ თბილისში ტრანსპორტირებაზე, გაფორმდა ხელშეკრულება კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან, დაგეგმილი თანხის გადარიცხვა საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა. დაფინანსება განხორციელდება წარმოდგენილი სამუშაოების მიხედვით.
- გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის ანაზღაურებასა და მივლინებაზე 2,7 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 3,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 1,0 %

პროგრამის - ფოლკლორის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 18,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 15,0 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებული ფოლკლორული ანსამბლებისათვის სასცენო კოსტუმების შეძენის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი, სადაც გაიმარჯვა ი/მ „ირმა დიასამიძემ“, გაფორმდა ხელშეკრულება და მოხდა საავანსო ანგარისწორება 15,0 ათასი ლარით;

პროგრამის შესრულების პროცენტი: 83,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 8,8 %

პროგრამის - კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია მოიცავს ორ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ერთ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 127,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 98,4 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: თურქეთის რესპუბლიკაში სსიპ ,,აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი"-ს

ღონისძიებაში მონაწილეობა, სსიპ ,,აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი თბილისში, წიგნი-ალბომი ,,აჭარის საგანძური" ჩასადები ხელნაკეთი სასაჩუქრე ყუთების დამზადება და პროექტი - ,,მეგობრობის პალიტრა"; ზ. ფალიაშვილის სამუსიკო სკოლაში განხორციელდა პროექტის „აჭარის სამუსიკო სკოლებში საორკესტრო მიმართულების განვითარება“. აღნიშნულ პროექტში ჩართული პროფესორ-მასწავლებლებთან გრაფიკის შეუთავსებლობის გამო საჭირო გახდა პროექტის გადავადება ერთი თვით (ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე პროექტი დაიწყო და დასრულდება ერთი თვით გვიან), რამაც განაპირობა გამოყოფილი თანხის ნაწილობრივი ათვისება; დაფინანსდა ასევე ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და ბათუმის ვ. ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლაში ჩატარებული „მასტერკლასები პროფილურ საგანში ხალხურ-სცენური ცეკვა“.

თავისუფალი პროექტების და ახალი ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლებში კონკურსის შედეგად გამოვლინდა 4 გამარჯვებული და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1) ა(ა)იპ “Micro-ფონი“ – „ექსპერიმენტულ-ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „Sound Spring”;
2) ა(ა)იპ „ექსპერიმენტული თეატრი ყველგან“ – „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“ - სცენური ვერსია;
3) ა(ა)იპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი - „მინოსური სამოსი ძველი ბიზანტიიდან კრეტამდე“;
4) ა(ა)იპ საქართველოს საგუნდო საზოგადოება - „ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების I ერთობლივი ოლიმპიადა“

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 77,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 13,6 %

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2015 წელს ახორციელებს ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 118,0 ათას ლარს. საკასო ხარჯი 27,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ბათუმის ისტორიის მუზეუმის მშენებლობა რეაბილიტაციის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული იყო 108,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში ათვისებულია 27,5 ათასი ლარი, ხოლო 80,5 ათასი ლარის ათვისებული იქნება მომდევნო პერიოდში, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროექტში შეტანილ იქნა ცვლილება, რამაც განაპირობა დაგეგმილი სამუშაოების გადავადება, ასევე ვერ განხორციელდა გადაუდებელი რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ძეგლების საპროექტო სამუშაოებზე გათვალისწინებული 10,0 ათას ლარის ათვისება, ვინაიდან მიმდინარეობს შესაბამისი ძეგლის შერჩევის პროცედურა;

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 23,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 3,3 %

სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობის მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებს სამ პროგრამას: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ექვსი ქვეპროგრამა, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ხუთ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - სპორტული ღონისძიებები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 235,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 209,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამით დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. ყოველი წლის დასაწყისში ეროვნული ფედერაციების მიერ იქმნება სპორტული კალენდრები, რომელსაც აჭარაში მოქმედი ფედერაციები წარმოადგენენ დეპარტამენტში. წარმოდგენილი ინფორმაციების საფუძველზე დეპარტამენტის მიერ დგება კალენდარული გეგმა.

საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი ფედერაციების 76 ღონისძიება.

მარტის თვეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 25,0 ათასი ლარი 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მარტისა და აპრილის თვეების საორგანიზაციო ხარჯების გასაწევად, საიდანაც 12,5 ათასი ლარი გაწეული იქნა აპრილის თვეში, ხოლო დარჩენილი 12,5 ათასი ლარი კი ანაზღაურებული იქნება მომდევნო თვეში. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია თანხის ნაწილობრივ აუთვისებლობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 17,4 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 70,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 53,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 90 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 75,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 15,2 %

ქვეპროგრამის - სათამაშო სახეობათა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 101,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 37,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 3 სასწავლო-საწვრთნო შეკრება ფეხბურთში, კალათბურთსა და ინდორ ჰოკეიში და 6 სამატჩო შეხვედრა ფრენბურთში, წყალბურთსა და ხელბურთში. ჩატარებული ღონისძიებების ანაზღაურების მიზნით გაწეული იქნა ხარჯი 32,3 ათასი ლარის ოდენობით. სპორტსმენები ღონისძიებების პროცესში უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით, ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავებით. გაცემული იქნა მწვრთნელების მომსახურების ანაზღაურება 5,4 ათასი ლარის ოდენობით.

დეპარტამენტისა და სპორტული ფედერაციების ერთობლივი მუშაობის შედეგად იანვრის თვეში დაიგეგმა ქვეპროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში ჩასატარებელი ღონისძიებები, მათი ადგილმდებარეობა და ღირებულება. ფედერაციების მიერ თებერვლის ბოლომდე ვერ იქნა მოწოდებული ინფორმაცია სპორტსმენთა და მწვრთნელთა შესახებ, რომლებიც ჩართული უნდა ყოფილიყვნენ ქვეპროგრამაში. შესაბამისად ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყო მარტის თვიდან, რამაც გამოიწვია სასწავლო-საწვრთნო შეკრებებისა და საკონტროლო მატჩების ნაწილის პირველი კვარტლის ნაცვლად მომდევნო თვეებში გადატანა, შესაბამისად ვერ განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 37,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 8,2 %

ქვეპროგრამის - აჭარის სპორტის სახეობათა ნაკრები გუნდების მზადება „ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი – 2015“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 104,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 14,4 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დეპარტამენტისა და სპორტული ფედერაციების ერთობლივი მუშაობის შედეგად მიმდინარე წლის იანვრის თვეში დაიგეგმა ქვეპროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში ჩასატარებელი ღონისძიებები, მათი ადგილმდებარეობა და ღირებულება. ფედერაციების მიერ თებერვლის ბოლომდე ვერ იქნა მოწოდებული ინფორმაცია სპორტსმენთა და მწვრთნელთა შესახებ, რომლებიც ჩართული უნდა ყოფილიყვნენ ქვეპროგრამაში. შესაბამისად ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყო მარტის თვიდან, რამაც გამოიწვია სასწავლო-საწვრთნო შეკრებებისა და საკონტროლო მატჩების ნაწილის პირველი კვარტლის ნაცვლად მომდევნო თვეებში გადატანა, შესაბამისად ვერ განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 3 სამატჩო შეხვედრა ფრენბურთში, ხელბურთსა და ჩოგბურთში და 2 სასწავლო საწვრთნო შეკრება კალათბურთსა და მძლეოსნობაში, სამატჩო შეხვედრების ხარჯი 11,2 ათასი ლარი ანაზღაურებული იქნა პირველ კვარტალში, სპორტსმენები ღონისძიებების პროცესში უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით, ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო დარბაზების დაქირავებით. გაცემული იქნა მწვრთნელების მომსახურების ანაზღაურება 3,2 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 13,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 7,8 %

ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 23,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 22,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2015 წლის სამი თვის განმავლობაში ყოველთვიური 187,50 ლარიანი დახმარება გაეწია 32 ბენეფიციარს (18,0 ათასი ლარი), იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 7 ბენეფიციარს - სულ თანხით 4,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 24,4 %

პროგრამის - ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 91,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 66,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. ინტელექტუალური თამაშების ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდა აჭარის სასკოლო ჩემპიონატის ორი ეტაპი, სადაც მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტებისა და ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების 500-მდე მოსწავლე 4,5 ათასი ლარი. ასევე მარტის თვეში ჩატარდა ბათუმის სასკოლო ჩემპიონატი, რომელზეც თანხა გაიცემა აპრილის თვეში;
2. ახალგაზრდული კლუბების მხარდაჭერა ღონისძიებების ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილია ხუთი კლუბის დაფინანსება. ოთხ კლუბთან 2015 წლის სამ თვეში გაფორმებული იქნა ხელშეკრულება, ხოლო მეხუთე სადისკუსიო კლუბთა ხელშეკრულება გაფორმდება აპრილის თვეში და არსებული რესურსის ათვისება მოხდება მეორე კვარტალში.
3. მხიარული რეგიონი - აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 80 ახალგაზრდამ, ღონისძიებას ესწრებოდა 800-ზე მეტი მაყურებელი; აღნიშნული ღონისძიების პირველი კვარტლის ხარჯმა შეადგინა 16,5 ათასი ლარი.
4. უცხოეთში სხვადასხვა ტრენინგ სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილე სტუდენტ ახალგაზრდების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა 8 სტუდენტის მგზავრობის ხარჯი თანხით 10,0 ათასი ლარი.
5. ერთჯერადი თავისუფალი პროექტების ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა ორი პროექტი „ევროკავშირის

მოდელირება“ (6,0 ათასი ლარი) და „ლეგენდების გზამკვლევი“ (7,0 ათასი ლარი). დეპარტამენტში მარტის თვეში შემოსულია და მომდევნო პერიოდში დაფინანსდება ხუთი ერთჯერადი პროექტი: შპს „redelis Art“-ის მიერ პროექტი „იგრძენი ბათუმის გულისცემა“ 5,2 ათასი ლარი; ა(ა)იპ „საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაცია“ პროექტი „ბანაკი-ოცნების ქალაქი“ 7,4 ათასი ლარი; ა(ა)იპ „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“-ის პროექტი „ერთად ვითანამშრომლოთ უკეთესი მომავლისათვის“, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 7,0 ათას ლარს; ა(ა)იპ „თანამედროვე ხელოვნების სივრცე“-ს პროექტი „ოდესა ბათუმი ფოტო დღეები“ 6,5 ათასი ლარი; შპს „მაკრო სტუდიო“-ს პროექტი „ვიცხოვროთ ჯანმრთელი ცხოვრების წესით“ 7,0 ათასი ლარი.

6. ფორუმი „რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი“ - ღონისძიებაში ჩართული იყო და მონაწილეობდა აჭარის უმაღლესი სასწავლებლების 50 სტუდენტი, რომელთაც სამი დღის განმავლობაში ჩაუტარდათ ტრენინგ - სემინარები და გადაეცათ სერთიფიკატები. აღნიშნული ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 22,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 72,1 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 16,3 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2015 წელს ახორციელებს შვიდ პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით და მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 340,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 225,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 616 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 355 , ხოლო 261 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 66,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 17,1 %

ქვეპროგრამის - გულის ქირურგია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 410,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 167,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 120 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 67, ხოლო 53 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 40,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 14,0 %

ქვეპროგრამის - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 70,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 64,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 39 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 17, ხოლო 22 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,1 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 32,3 %

ქვეპროგრამის - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 110,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 108,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 629 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 349.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 24,1 %

პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა მოიცავს სამ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ორ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 225,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 112,1 ათას ლარს.

თემის სამედიცინო პუნქტის 226 სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების (ვიზიტების) რაოდენობამ, როგორც სამედიცინო პუნქტში ასევე ბინაზე, შეადგინა 34 401. ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე 112,1 ათასი ლარი. თემის სამედიცინო პუნქტების სამედიცინო პერსონალმა დროულად ვერ წარმოადგინა მარტის თვის შესრულებული სამუშაოს ანგარიში, რის გამოც მარტის თვის ხელფასის ანაზღაურება განხორციელდა აპრილის თვეში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 49,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 14,3 %

ქვეპროგრამის - სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 70,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 64,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექიმებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება მუნიციპალიტეტებიდან წარმოდგენილი სიების მიხედვით, ქვეპროგრამით განსაზღვრული 107 ექიმიდან 2015 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით სოფლის ექიმების არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით ხელშეკრულება გაფორმებულია 105 ექიმთან, რის გამოც წარმოიქმნა ეკონომია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 23,7 %

პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს სამ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ორ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 126,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 69,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 611 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 298. 313 ბენეფიციარი აგრძელებს რეაბილიტაციას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 55,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 14,2 %

ქვეპროგრამის - სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 58,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 7,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაბალი მომართვიანობის გამო გაცემულია 175 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 41. 134 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 12,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 3,3 %

პროგრამა - მოსახლეების გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 50,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 41,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 41 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი. 9 ადამინი გარდაიცვალა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 58,6 %

ქვეპროგრამის - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 42,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 41,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 20 ახალშობილი ტყუპის ოჯახს, 41 ახალშობილ ტყუპებისათვის.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 27,3 %

ქვეპროგრამის - 2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 23,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 22,0 ათას ლარს.

ომში დაღუპულთა დედებსა და მეუღლეებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 27,5 %

ქვეპროგრამის - ერთჯერადი სოციალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 151,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 114,7 ათას ლარს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 151,5 ათასი ლარიდან დაფინანსდა 14 ბენეფიციარი 114,7 ათასი ლარით. სხვაობა 36,8 ათასი ლარი გამწვეულია პაციენტების მიერ მკურნალობის ანგარიშის დროულად წარმოუდგენლობის გამო, მათი დაფინანსება განხორციელდება მომდევნო პერიოდში.

პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 40,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 40,0 ათას ლარს.

საანგარიშგებო პერიოდში სრულად დაფინანსებულია სმენადაქვეითებულ პირებზე 100 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 33,3 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებების უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 18,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 15,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 60 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 51.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 85,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 25,5 %

ქვეპროგრამის - უსინათლო მოქალაქეების უზრუნველყოფა უსინათლოთა „თეთრი“ ხელჯოხებით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1,5 ათას ლარს. 2015 წლის პირველ კვარტალში ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი განცხადება.

პროგრამის - მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 37,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 20,1 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა მომართვიდან გამომდინარე ქვეპროგრამაში ჩართულია 20 ბენეფიციარი. 20,1 ათასი ლარით დაფინანსდა მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება. მარტის თვეში განხორციელებული მომსახურების შესრულება წარმოდგენილი იქნა აპრილის თვეში, შესაბამისად თანხის ანაზღაურება განხორციელდა II კვარტალში.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 54,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 16,2 %

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხვრივ სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის -დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანაგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 73,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 10,9 ათას ლარს. სხვაობა გამოწვეულია მარტის თვის შესრულებული სამუშაოს შესახებ მიმწოდებელთა მიერ ანგარიშგების აპრილის თვეში წარმოდგენის გამო, შესაბამისად დაფინანსება განხორციელდება მეორე კვარტალში.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა.

1. აჭარის ტერიტორიაზე განხორციელდა ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა 153 კერის კვლევა შესაბამისი 166 ვიზიტით, მ.შ.ბათუმი – 84 კერა, 98 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 29 კერა, 29 ვიზიტი, ხელვაჩაური – 29 კერა, 28 ვიზიტი, ქედა – 1კერა, ვიზიტი -1, შუახევი – 7 კერა, 7 ვიზიტი. ხულო – 3 კერა, ვიზიტი-3.

2. ცოფზე საეჭვო კერაში განხორციელდა 35 ვიზიტი; ხოლო ვეტსამსახურში 76 საკომუნიკაციო ვიზიტი სულ 111, მ.შ. ბათუმში – 27 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 54, ხელვაჩაური –2, ქედა – 14, შუახევი – 5, ხულო – 9 ვიზიტი.

3. თებერვლის თვიდან დაიწყო და მიმდინარეობს რეგიონის მალარიოგენული ტერიტორიის პასპორტიზაცია, აღირიცხა: ბათუმში – 109.25 ჰა, მ.შ. ანოფელოგენური 104.1ჰა, ხელვაჩაურში –74 ჰა,მ.შ. ანოფელოგენური 64,9 ჰა.
4. ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა 19 შეხვედრა (7 ვიზიტი), მსმენელი – 578, მ.შ. ბათუმი – 14 შეხვედა (4 ვიზიტი) 442 მსმენელი, ხელვაჩაური – 5 შევედრა (3 ვიზიტი) –136 მსმენელი.
5. მომზადდა ვიდეორგოლი – ,,STOP C".

ბ) მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში

საანგარიშო პერიოდში რეგიონის საჯარო და კერძო სკოლებში, საბავშვო ბაღებში განხორციელდა სულ 37 ვიზიტი (სკოლებში–27, ბაღში–10), მ.შ. ბათუმში –34 ვიზიტი, 3 225 ბენეფიციარი, ხელვაჩაურში - 3 ვიზიტი, 253 ბენეფიციარი. სკრინინგი გაიარა სულ 3 478 - მა ბენეფიციარმა, მ.შ. 882 ბაღის აღსაზრდელმა. ჩატარდა კონსულტაცია - 12900.

გ) ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში

საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულ იქნა 0–200000 სარეიტინგო ქულის მქონე 167 ორსული, მ.შ. ბათუმში–83, ხელვაჩაურში–72, ხულოში–9, შუახევში–3.

დ) კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 ვიზიტი, მ.შ.ხულოში –3, ღონისძიებით ისარგებლა 124 –მა ბენეფიციარმა.

ე) სმენის სკრინინგი ახალშობილებში

საანგარიშო პერიოდში სმენის პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა - 41 ახალშობილს. მათ შორის: ქობულეთი - 29, ქედა - 2, შუახევი - 1, ხულო - 9.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 14,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 1,8 %

დასაქმების ხელშეწყობის მხვრივ სსიპ დასაქმების სააგენტო ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, დასაქმების ხელშეწყობის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და პროფესიული გადამზადების ქვეპროგრამას.

პროგრამაზე - პროფესიული გადამზადება საანგარიშო პერიოდში გეგმა არ იყო გათვალისწინებული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2015 წელს ახორციელებს ოთხ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სამექანიზაციო საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის, მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობისა და მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამა - სამექანიზაციო საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - მრავალფუნქციური მოტობლოკებითა და ურიკებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 480,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 413,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროინვესტსერვისთან“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-150001767):

მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7 ცხძ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგის შემდეგი დამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი–კულტივატორი, ნიადაგჩამჭიდი თვლები, რეზინის საბურავები, მიწის შემომყრელი, კარტოფილის ამომთხრელით; მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7ცხძ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით (ფრეზი–კულტივატორი, ნიადაგჩამჭიდი თვლები, რეზინის საბურავები, კარტოფილის ამომთხრელი, მიწის შემომყრელი) და სეგმენტურთათებიანი საცელით; მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2კვტ (7ცხძ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით (ფრეზი–კულტივატორი, ნიადაგჩამჭიდი თვლები, რეზინის საბურავები, კარტოფილის ამომთხრელი, მიწის შემომყრელი) და კარტოფილის სარგავით მოწონებაზე სახელშეკრულებო ღირებულებით - 1 378,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 413,7 ათასი ლარი, რაც მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების თანხას.

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროინვესტსერვისთან“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-150001765) მოტობლოკის მისაბმელი ურიკების მოწოდებაზე (ტვირთამწეობა არანაკლებ –0,5 ტ) სახელშეკრულებო ღირებულებით - 49,8 ათასი ლარი. წინასწარი ანგარისწორება არ განხორციელებულა.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 86,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 25,9 %

ქვეპროგრამის - მობილური შემასხურებელი აპარატით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 128,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 94,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ორიენტთან“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-150001917) 61 ერთეული მობილური შემასხურებელი აპარატების მოწოდებაზე სახელშეკრულებო ღირებულებით - 94,2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 94,2 ათასი ლარი. ტენდერის ეკონომია შეადგენს 33,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 73,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 73,5 %

პროგრამა - მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთაგან პირველ კვარტალში გეგმა გათვალისწინებულია ერთ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 150,0 ათას ლარს, პრეტენდენტს შპს „ნოველთს“ შერჩევა/შეფასების ეტაპზე მიეცა დისკვალიფიკაცია, მიმდინარეობს შემდეგი პრეტენდენტის შერჩევა-შეფასების ეტაპი, შესაბამისად ვერ განხორციელდა 2015 წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებული თანხის ხარჯვა.

პროგრამაზე - მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა 2015 წლის პირველ კვარტალში გეგმა არ იყო გათვალისწინებული.